

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №10/ნ
2013 წლის 4 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის №67/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის №67/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 110511013, 17/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016104) პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კოლეჯის მიზანია:

ა) ფორმალური პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამები) განხორციელება;

ბ) ტრენინგ-კურსების განხორციელება, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.“

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ¹“ ქვეპუნქტი:

„თ¹) ახორციელებს ტრენინგ-კურსებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

გიორგი მარგველაშვილი

